

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რეზო კვაჭაძის  
მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის  
წარდგენის ოქმი.**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**სოფელი, თემი, დაბა:** ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 07.06.2019 წელი 12:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს წევრი და ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი რეზო კვაჭაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ კუკულავა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარის მოადგილე ოთარ პატიეშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნანა წილოსანი.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, მან განაცხადა, რომ დეპუტატი რეზო კვაჭაძე არის საკრებულოს ძალიან პასუხისმგებლიანი წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა რეზო კვაჭაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელმძღვანელობას და მოსახლეობას, რომ გამოწახეს დრო მათთან შესახვედრად.

მაჟორიტარმა დეპუტატმა, საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა,

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2)სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, ამავდროულად იყო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კერძოდ:

- ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მთლიანად დაიგო 955 მეტრი რკინა-ბეტონის გზის საფარი;
- ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა 310 მეტრი სიგრძის ბეტონის არხები;
- სოფელ ჯიხანჯირში მოეწყო მინი სტადიონი;
- მოიხრეშა ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლის შიდა გზები.

მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გაუწია 33 ადამიანს, როგორც მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის სარგებლობით, ისე გადაუდებელი საოპერაციო ხარჯის დაფინანსებაზე.

2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახს 2018 წელს გაეწია დახმარება, კერძოდ გადაეცა საჭირო სამშენებლო მასალა (სახლის სახურავი), ასევე 2018 წლის 3 მარტისა და 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 18 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა (სახლის სახურავი). საკრებულოს წევრის განცხადებით, მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განიხილავდა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს და აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა.

რაც შეეხება მიმდინარე წელს მიმდინარეობს წერტილოვანი შეწამვლა, ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებულია 130 ერთეული ე.წ. „მოიზიდე და მოკალი“ , რასაც მნიშვნელოვანი შედეგი აქვს.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა 2019 წელს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, კერძოდ:

- მიმდინარე წელს სოფელ ჯიხანჯირში მიმდინარეობს დაწყებითი სკოლის მშენებლობა.
- ასევე 2019 წელს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება წყლის რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი პროექტი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაკეთდება გარე განათების სისტემა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ საკრებულოს წევრმა რეზო კვაჭაძემ ჩოჩხათის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებთა მიერ დაისვა შემდეგი სახის პრობლემები, კერძოდ:

- ჩოჩხათში 400 მეტრის სიგრძის გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა;
- სუფსა-გულიანის დამაკავშირებელი გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა;
- ოდილაურსა და წიაღობანში შიდა გზების პრობლემის მოგვარება;

- ჩოჩხათის სკოლასთან მისასვლელი გზის მონაკვეთის შეკეთება;
- სოფელ წიაღობანში წყლის რეაბილიტაცია;
- ჩოჩხათის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.

მოქალაქე მაია გოგელიამ დააყენა ოდილაურში გზის პრობლემის საკითხი, მან აღნიშნა, რომ გზა არის ძალიან დაზიანებული, მიწა ცოცავს და სანიაღვრე არხები არის გასაკეთებელი, რაზეც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დახმარებას დაპირდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ტაბიძემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ჩოჩხათი-ჩანჩეთის დამაკავშირებელ მონაკვეთზე დაიგება ბეტონის საფარი.

საკრებულოს თავმჯდომარე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს წევრები სოფლის მოსახლეობას დაპირდა, რომ აქტიურ მუშაობას გაარძელებდნენ, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

რეზო კვაჭაძე



საკრებულოს წევრი  
საკრებულოს წევრები